ფინაური საქმეები.

ყოველ-კვირეული გაზეთი.

№ 20.

ფასი ოცი შაური
წლიური ფასი 5 მან.
წლის დამლევამდე
1 მ. 70 კ.
წელიწადი მეშვიდე.

კვირა 15 ნოემბერი, 1915 წ.

როდის მოხდება იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა წლიური (?) კრება?

როდის მოხდება კრება? აი პირველი საკითხი, როცა ორი მღვდელი ერთიმეორეს შეხვდება. და მკითხველმაც, და მოპასუხემაც ორივემ იცის თუ რა კრებაზეა ლაპარაკი. დღეს მაინც, როცა დამატებითი ჯამაგირები გამოვიდა სამღვდელოებისათვის, ამ საკითხმა უჯამაგიროთ დარჩენილი მღვდლების მთელი არსება მოიცვა. არც გასაკვირვალია დღევანდელ პირობებში, როცა მოსავლის ნაკლებობის და სხვა ბევრ მიზეზების გამო მღვდლის შემოსავალმა პროპორციალურად იკლო, ხოლო გასავალი ერთი ათად გაიზარდა. ჯერ ისედაც რა იყო მღვდლის ავლ-დიდება და წელს მისმა საკუთარმა, ხელით ნამუშავარმა ყანა-მამულმაც ხომ უღალატა. ამიტომ დასაძრახისი არ არის უჯამაგირო მღვდლების ასეთი აპილპილება კრების მოლოდინში.

მაგრამ სამღვდელოებას სხვა საკითხებიც ბევრი აქვს გადასაწყვეტი. იმ საკითხებს, რომელნიც ყოველთვის მის ყურადღებას იპყრობდა—სასწავლებლები, სანთლის წარმოება და სხ.—წელს კიდევ სამარხი კასის აპუწული საქმეების საკითხი დაერთო, რომელიც სწრაფულ განხილვას მოითხოვს. გარდა ამისა, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ დღეს ისეთი მომენტია, როცა სამღვდელოების ხმა ჩვენი ეკლესიის ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებზე დიდათ საჭიროა და ხმის ამოუღებლობა კი სირცხვილი და სიკვდილი. დღეს, როცა მთელი ქვეყნიერების წესწყობილების საფუძველნი ირყევიან, როცა ისეთი გულშემტკივარი მამა და მოღვაწე საქართველოს ეკლესიისა, როგორიც არის ექსარხოსი პიტირიმი, რუსეთის ეკლესიის უმთავრეს სასულიერო სამმართველოში მოექცა, დღეს ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება სამღვდელოების ხმას. სამღვდელოებამ რამდენიმე კერძო მოხსენება უნდა შეიმუშაოს და საჩქაროდ მიაწოდოს მის მეუფეებას, რომ მის მოხსენებას უწ. სინოდში ზედმეტი საბუთი მისცეს და ზურგი გაუმაგროს. უნდა გვახსოვდეს, რომ მის-მეუფეების მოხსენებას სინოდში იმდენად მეტი ფასი დაედება, იმდენად მეტ ყურადღებას დაიმსახურებს, რამდენადაც ეს მოხსენება გამოწვეული იქნება ადგილობრივი სამღვდელოების მოთხოვნილებისაგან.

ასეთი მოხსენებების შემუშავება კერძო საბლალოჩინოების საქმეა, რაშიდაც, დარწმუნებული ვართ პირველ მაგალითს ქუთაისის და თბილისის საბლალოჩინო კრებები და ბლალოჩინები მისცემენ დანარჩენებს. ჩვენი ეპისკოპოსები ვალდებული არიან ფხიზლად მოეკიდონ ამ მომენტს, შეადგინონ კომისიები და მიანდონ სხვადასხვა საკითხების მემუშავება და გაშუქება მომავალი კრების წარსადგენად, რომელიც თავის მხრით კიდევ დაიმუშავებს მათ და წარუდგინეს მის მეუფებას საქართველოს ექსარხოსს სინოდში მოსახსენებლად. ჩვენი მხრით ჩვენი ეკლესიის უმთავრესი საჭირბოროტო საკითხები საკმაოთ განვმარტეთ შინაურ საქმეების წინა ნომრებში, გარდა ავტკეფალობისა, რაც უკვე განმარტებულია და თავის სვებედს ელის.

ქართული პრესა ჩვენ საეკლესიო საქმეებზე.

ექსარხოსის გამგზავრებამ პეტროგრადს სინოდის საზამთრო სესიებზე დასასწრებლად ხმა ამოაღებინა ჩვენ საერო წოდებას. გაზეთ „საქართველოს“ სურვილი უკვე გავაცანით ჩვენ მკითხველებს „შინ. საქ.“ № 19. ეხლა გაზ. „სახ. ფურცლის“ აზრი გვინდა გავაცნოთ. ამ გაზეთმა თავის № 425-ში ორი წერილი უძღვნა ჩვენ საეკლესიო საქმეებს. მოგვყავს ორივე უცვლელად, რადგან ჩვენი სურვილია სამღვდელოებამ დაახლოვებით იცოდეს ჩვენი საერო წოდების აზრი ჩვენ საეკლესიო საქმეებზე. როგორიც უნდა იყოს ეს აზრი ჩვენი ეხრით სიამოვნებით ვეგებებით მას, რადგან საერო პრესის გამოსვლა იმის მომასწავებელია, რომ საერო წოდებამ დაჰგმო თავის უალაგო დუმილი საეკლესიო საქმეებზე, შეიგნო, რომ ეკლესია არც ისე აბუჩად ასაგდებია, არც ისეთი უმნიშვნელო რამ არის ჩვენი ცხოვრებისათვის, რომ ყურადღების ღირსი არ იყოს. აი ეს წერილები:

I
საეკლესიო საქმეები და ეგზარხოსი პიტირიმი.

დღეს ეგზარხოსი პიტირიმი ტფილისიდან მიემგზავრება. უკვე დადის ხმები ადვილად შესაძლებელია ყოვლად უსამღვდელოსი პიტირიმი უკან აღარ დაბრუნდესო. ეგზარხოსმა პიტირიმმა დიდხანს არ დაჰყო საქართველოში, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაშიაც უკვე სამწყსოს თანაგრძნობა დაიმსახურა. ქართული ეკლესიის საკითხი, რა თქმა უნდა, ისევ საკითხად დარჩება. ასე იქნება იმ დრომდე, სანამ მისი კანონიური უფლებანი აღდგენილ არ იქნება. მაგრამ ამისდამიუხედავად, მაინც აღსანიშნავია ეგზარხოსის პიტირიმის მოღვაწეობა ჩვენში. აღსანიშნავია იმ მხრით, რომ მას ნათლად ემჩნეოდა სურვილი ლმობიერი მართვა-გამგეობისა. გვაგონდება ერთი შემთხვევა: როდესაც მცხეთაში ეგზარხოსს პიტირიმს მისალმების დროს უთხრეს, თქვენ ქართველ კათოლიკოსთა ადგილი გიჭირავთო, ყოვლად უსამღვდელოესმა პიტირიმმა უპასუხა, ეგ მართალი არ არის, მე მხოლოდ კათოლიკოსთა დაქვრივებულ კათედრას ვსდარაჯობო. ამ სიტყვებში ნათლად გამოჩნდა, როგორ უცქერის ეგზარხოსი პიტირიმი საქართველოს ეკლესიის საკითხს და რა მიაჩნია საჭიროდ ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

ალბათ ამ რწმენით ხელმძღვანელობდა ეგზარხოსი პიტირიმი საქართველოს ეკლესიის გამგებლობის დროს. პრაქტიკულად ბევრი არაფერი გაკეთებულა. ისეთს საქმეებსაც კი, რომელთაც წმინდა ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა, წინ მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობებოდა. „კოლოკოლ“-ში გამოქვეყნებული მიწერ-მოწერა ეგზარხოსსა და სინოდს შუა, ნათლად გვიჩვენებს, სად უნდა ვეძებოთ მთავარი მიზეზი დაბრკოლებისა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც აღსანიშნავია, რომ ეგზარხოსს პიტირიმს სურვილი ჰქონდა ქართული საეკლესიო საქმეების ახალის წესით მმართვისა. ასის წლის განმავლობაში ეს ერთი

მაგალითია ისეთი, როდესაც სინოდის მიერ დანიშნულმა ეგზარხოსმა ღმობიერი პოლიტიკის წარმოება მოისურვა.

ჩვენ არ ვიზიარებთ იმ აზრს, თითქოს კერძო პირთა ამა თუ იმ სულიერ განწყობილებას შეეძლოს ქართულსაეკლესიო საქმეების მოწესრიგება. საეკლესიო ცხოვრებას თავისი დაკანონებული წესები აქვს და, თუ ეს წესები საფუძველშავე დარღვეულია, მისი ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ვერაოდეს ვერ ჩადგება. ამიტომ ქართული საეკლესიო ცხოვრებაც მხოლოდ მაშინ ჩადგება წესიერ კალაპოტში, როდესაც მას თავისი კანონიური უფლებანი დაუბრუნდება. მაგრამ, რანაირიც არ უნდა იყოს ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე, მაინც არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ყოვლად უსამღვდელოესმა პიტირიმმა ახალი სიო შეიტანა ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის საქმეში.

ეგზარხოსის პიტირიმის მოღვაწეობა გვიჩვენებს, რანაირი უნდა იყოს პოლიტიკა. ქართული ეკლესიის მმართველისა იმ შემთხვევაში, თუ მას ვერ შეუძლიან საფუძვლიანად შესცვალოს ივერიის ეკლესიის ბედი, თუ საბოლოოდ გადაწყვეტა ქართული ეკლესიის საკითხისა მისი პირადი ზედგავლენის გარეშე სდგას. საქართველოს ეგზარხოსს, სინოდის მიერ დანიშნულს, თუ ვერ შეუძლიან, კანონიური სიმტკიცე მისცეს ქართულ ეკლესიას, ის მაინც შეუძლია რომ „ქართველ კათოლიკოსთა დაქვრივებულ კათედრას კარგად უდარაჯოს“. ასის წლის განმავლობაში ქართულ ეკლესიას ასეთი „დარაჯი“ არა ჰყოლია.

II

ჩვენი საეკლესიო საქმეები

„სამი წლის გამოსავალი გამოიარა სამ დღესაო“, ნათქვამია ზღაპარში. დღეს ისტორიის სრბოლა სწორედ ზღაპრულის სიჩქარით სწარმოებს ქვეყნიერობა რყევა-ნგრევაშია ამ საერთო რყევის დროს ყველა, შეძლების დაგვარად, თვალხილულად უნდა იყოს, ამ უმაგალითო ამბების დროს. შეიძლება ეხლა ბევრის მიღებაც და დაკარგვაც,—ეს გარემოებას და ამა თუ იმ ხალხის მომზადებაზედაა დამოკიდებული. ფხიზლად უნდა იყონ სამღვდელოების პირნიც, რომელთაც შერჩენიათ უნარი საზოგადოებრივ ინტერესების გაგებისა. არა კმარა მამულიშვილობის გამოხატვა ჩვენებურ გაქსუებულ საზოგადოებაში მარტო იმით, რომ წმინდა ნინოობას, ან ვინმე მოღვაწის დასაფლავებაზე მიმართო ამ საზოგადოებას მაღალ ფარდოვან სიტყვებით. არ კმარა „პატრიოტული“ სიტყვა დაიწყო და გაათავო მიმართვით „ქართველნო ერნო!“ საჭიროა, „ქართველნი ერნიც“ დაფიქრდეს ზოგიერთ სასულიერო ვაუბატონის „პატრიოტულ“ სიტყვისა და არა —პატრიოტულ საქმისა გამო.

ჩვენ ვალდებულად ვრაცხთ ყველა გავლენიან პირთ ქართველ სამღვდელოებისას აღიმაღლონ ხმა ქართველთა სასულიერო საქმეთა მოსაგვარებლად. მართალია ზოგნი გულწრფელნი სასულიერო მოღვაწენი მოგვაშორეს სიმართლის თქმისათვის, მაგრამ რა გამოსადეგნი იქნებიან ისეთნი პირნი, რომელნიც „არც მწვადს დასწვავენ და არც შამფურს?“ ამათთანა პირთა ყოლას, არ ყოლა არ სჯობია? ქვეყანას ეგონოს, პატრონი გვყავსო და ნამდვილად უპატრონობა კი სჯობდეს, აბა რა სანატრელია ასეთი მდგომარეობა? „გაჩუმდი, კაცო, არავინ გაგვიგონოს!“ -- აი ასეთი პატრონის პსიხოლოგია! ჩინი, მენდალი, აღმატება და სხვა არაფერი. მართლა ჩინ-მედლებით რომ იზომებოდეს ნამდვილი მოღვაწენი-იცოცხლეთ, ჩვენ ისინი ბლომად აღმოგვიჩნდებიან! მაგრამ, ვაი, რომ ჩინ-მედლების რაოდენობა უკუღმა პროპორციულია ნამდვილ მოღვაწეობასთან.

მართალია „ზაკავკაზსკაია რეჩი“ მთელი საქართველოს პირით ბუკსა სცემს, ჩვენ დღეს არაფელსა ვთხოულობთ, ჯერ ომი გავათაოთ და მერე მოგახსენებთ, რაცა გვსურსო; მაგრამ ვინ მისცა ხსენებულ გაზეთის ბრძენ პუბლიცისტებს ნება ამნაირ განცხადების წერისა; განა უთავბოლოდ უნდა ჰროშო კაცმა, რაც ენაზე მოგადგება? განა არ მოეხსენება ამ ვაუბატონებს, რომ ისტორიამ იცის შვიდწლოვანი, ოცდა ათწლოვანი და ასწლოვანი ომიც? მაშ, ქართველებო, მოითმინეთ, ომი გათავდეს და მერე განაცხადეთ თქვენი სურ-

ვილები. აი ამას ჰქვიან ქვეყნის მებაირაღტრო-ბა!

ცხოვრება სულ გამუდმებული ომია. ჩვენც ჩვენ საჭიროებას მუდამ ვგრძნობთ, მუდამაც უნდა ვამბობდეთ და ვყვიროდეთ ჩვენს უფლებაზე, ომი იქნება თუ მშვიდობიანობა.

სათქმელი და გასაკეთებელი კი ბევრია. დღეს სახალხო მინისტრი იგნატიევი პოლონურ უნივერსიტეტის დაარსებაზედაც კი ლაპარაკობს. ძველი შეხედულებანი ეროვნებათა დევნის შესახებ ნელნელა, გარემოების კარნახით, ირღვევა. ცოდვად არ უნდა ჩაგვეთვალოს ჩვენც, ქართველებს, გარკვეულად აღვნიშნოდ უმაღლეს მთავრობის წინაშე ჩვენი ნამდვილი საჭიროებანი, და არა ისეთი, როგორიც არის ქუთაისის სემენარიის გახსნა. მართალი რომ სთქვას კაცმა, სადავოა ეს საკითხი, სასურველია ქუთაისში სემინარიის გახსნა, თუ არა? რა აჯობებს ჩვენთვის ის, რომ აქ, საქართველოს დედა-ქალაქში, გვქონდეს პარალულ განყოფილებიანი, თუ აქაც ტ იქაც მხოლოდ თითო, ნორმალ კლასიანი სემენარია. ვფიქრობთ, ბევრი ქართველი ამჯობინებს, რომ აქ, ერთ სემენარიაში, იყრიდნენ თავს ახალგაზრდანი მთელ საქართველოდან და ეცნობოდნენ ერთმანეთს, ვიდრე იმ გარემოებას, რომ აქაურ სემინარიას ჩამოეცალნენ იმერნი და ქართლ-კახელნი კი დაჯაბნონ სხვა ელემენტებმა. ამ რიგად იმ „ღვაწლს", რომელსაც სწევენ ქუთაისში სემენარიის გასახსნელად, უნებლიეთ ჩრდილი ეფინება, და „რაა იგი სინათლე, რომელსა ახლავს ბნელია?" ვაი, თუ სხვის ხელში სათამაშო იარაღად ჰხდებიან ისინი, რომელნიც ქუთაისის სემენარიის გახსნისა გამო გარბი-გამორბიან აქეთ-იქით?...

ნამდვილი საჭიროებანი, რომელნიც ჩვენც გვავიწყდება და უფრო კი ჩვენ ბატონებს, ავსაც და, ჩვენდა სამწუხაროდ, „კარგსაც", უფრო სხვანი არიან.

აი ეს საჭიროებანი: საქართველოს სამრევლო სკოლებში ქართულად სწავლება ყველა საგნებისა; მათთვის ქართველ მეთვალყურეთა გამწესება, როგორც სამაზროთა, აგრეთვე საეპარქიოთა; ქართულად სწავლება საგნებისა სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიაში; ქართულად სწავლება გიმნაზიაში საღვთო სჯულისა; ქართულ საეკლესიო წიგნების ბეჭდვა ტფილისში და სხვ.

ყველამ იცის, რომ საეკლესიო სკოლებში (აგრეთვე სამინისტროშიაც) საგნებს რუსულად ასწავლიან. ქართული ენა თუმცა პროგრამაში იხსენება, მაგრამ იმის სწავლებას რევიზორი არავითარ ყურადღებას არ აქცევს. განსაკუთრებით სამეგრელოს სკოლებში თითქმის სრულებით არ ასწავლიან ქართულს.

სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიაში ქართულად სწავლების შესახებ სინოდი თანახმა არ იყო დღემდის, მაგრამ ჩვენი ტკივილი საჭიროა აღვნიშნოთ. 1907 წელში სინოდი თანახმა იყო, ვითომ. სემენარიის მეხუთე და მეექვსე კლასებში სწავლება საღვთისმეტყველო საგნებისა ქართულად წარმოებულიყო ქართველთათვის: ეს ნებართვა საეპარქიო კრებასაც კი გადაეცა განსახილველად: აღმოაჩინეთ ადგილობრივად სახსარი ქართულად სწავლების მოსაწესრიგებლადაო. ამას გახსენება უნდა და დამატება: თუ მართლა გული შეგტკივათ ქართველებისათვის, ფულსაც გ ვეტებდით ამ საგნისათვისო, რადგან ჩვენი ეკლესიის ქონება სინოდმა ხაზინას გადასცა.

1905 წლის 17 აპრილის მანიფესტი რუსეთის ყველა-ეროვნებათ ანიჭებს უფლება საღვთო სჯული შეისწავლონ დედა-ენაზე. ამ უფლებით სარგებლობენ პოლონელები, გერმანელები, სომხები, თათრები და სხვები. გარდა... ქართველებისა. რათაო?—მათთაო, რომ თქვენ და ჩვენ ერთნი ვართო... წადი და ედავე ამათთანა გულშემატკივართ. გამოდის, რომ ჩვენ, მართმადიდებლებს, არ გვაქვს ის უფლება რაც არა მართლმადიდებლებს აქვთ. ჩვენ მეზობელ სომხებს აქვთ თავისი სემენარიები ტ ორი კი არა, ათიც; აქვთ თავიანთი სასულიერო აკადემია. ჩვენ ქართველებს კი მოგვესპო საშუალებანი განვავითაროთ ჩვენი დედა-ენა, გავამშვენოთ იგი, რომ გახდეს მკვეთრი და მომხიბვლელი, როგორც უწინ იყო. განა მეფე ერეკლე წარმოიდგენდა იმას, რომ ქართულ ენას ეს დღე დაადგებოდა? იმ ენას, რომლი-

თაც წმ. ნინო ქადაგებდა ქრისტეს სჯულს, თამარი გასცემდა თვის ბრძანებასა ? ... თან იმასაც გვეუბნებიან ოტყოდა აღსარებასა?... თან იმასაც გვეუბნებიან თქვენ, ქართველები გულგრილნი ხართ სარწმუნოებაშიო. ქართველი ყმაწვილი ისე გაათავებს სასწავლებელს, რომ დედა-ენაზე არავინ დაასწავლის მას მამაო ჩვენოს. და ვინც დედა-ენაზე გადაჩვევა ლოცვას, ის გულწრფელად აღარც ერთ ენაზე აღარ ილოცავს. ეს ცნობილია მწარე გამოცდილებით!

თუ როგორ უნდა მოეწყოს საღვთო სჯულის სწავლება გიმნაზიებში და სხვა სასწავლებლებში, ამაზე ისევ ჩვენები და ჩვენი „წინამძღოლნი", ბერძნულად გვეტყვიან: ეს შეუძლებელია, რადგან სხვადასხვა ეროვნებანი სწავლობენ ერთადაო. ჩვენი სათქმელი კი ის არის, რომ მრავალ საუკუნის განმავლობაში ქართველი კაცი ქართულად სწავლობდა ყველა საგნებს და ეხლაც ასე უნდა იყოს, რადგან ქართველ ხალხს არავისთვის არ მიუცია პირობა დედა-ენაზე სწავლას აღარ ვინდომებო. როგორ და რა სახით მოეწყობა ეს სწავლება, ეს სხვა საკითხია. უნდა მოეწყოს კი! თუ ჩვენთვის ვინმეს გული შესტკივა, უნდა დავაბაროთ სინოდში სათქმელად: დაგვიბრუნეთ ჩვენი დედა-ენა სკოლებშიო! გახსენით ქართველებისათვის რუსებისათვის, სომხებისათვის, თათრებისათვის ცალკე გიმნაზიები. მაშინ შეიძლება საღვთო სჯულის კარგად სწავლებაც და სხვა საგნებისაც. აი ჩვენი სათქმელი და დასაბარებელი უმაღლეს სასულიერო მთავრობასთან!

ლოცვა, სწავლა და სამართალი დედა-ენაზე! აი ჩვენი მოთხოვნილებანი, ურომლისოდაც ჩვენი ხალხის ნორმალი განვითარება შეუძლებელია. ამას უნდა მოვითხოვდეთ urbi et orbi ამ მოთხოვნილებით უნდა შეიფეროს როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო გამგეობის ფორმები!

ალავერდის კათედრის აღდგენაც კარგი საქმეა, მაგრამ კათედრის ღირსეულ პატრონს ზემოაღნიშნული სამკალი რომ ექნება წინ გაშლილი, მაშინ მიეცემა აზრი კათედრის აღდგენასაც. Sapienti sat!

ხოხროიანი.

კვირიდან კვირამდე.

მისი მ. ყ. უსამღვდელოება საქართველოს ექსარხოსი პიტირიმი 7 ამ თვეს პეტროგრადს გაემგზავრა სინოდის საზამთრო სესიაში დასასწრებლად. ამ შემთხვევის გამო საქართველოს ყველა ეპისკოპოზები თბილისში იყვნენ დაბარებული. ეჭვი არ გვაქვს ამ კრებაზე წამოყენებული იქნებოდა საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი საჭირბოროტო საღვთისო საკითხები, რომლებსაც მისი მ. ყ. უწინ დაუყენებს სინოდს.

—

5 ნოემბერს საღამოს გენერალ ადიუტანტის მ. დ. ჭავჭავაძის ქვრივის სახლში შემდგარ პეტროგრადში მიმავალ ექსარხოსის პიტირიმს საპატივცემო წვეულება. დასწრებიან ქართულ თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი და ინტელიგენცია. აქვე ბრძანებულან ქართველი ეპისკოპოზებიც. 6 ნოემბერს მისი მეუფება მეფის მოადგილეს წარუდგა. ამავე დღეს ქართველ ინტელიგენციის თანხმობით ქვაშვეთის ტაძარში გადახდილ იქნა სამშვიდობო პარაკლისი ექსარხოსის მოგზაურობის გამო, ექსარხოსი პეტროგრადში ექვსთვეს დარჩება. სამ დადის მისი მეუფება თავის მოადგილეთ საქართველოში სტოვებს გურია—სამეგრელოს ეპისკოპოსს ლეონიდს. უკვე ხმა დადის ექსარხოსი უკან არ დაბრუნდებაო. ჩვენ კი არ გვინდა დავიჯეროთ. განა კიდევ ვიხილავთ ასეთ გულშემატკივარ მწყესმთავარს...

—

გაზ. „სამშობლოს" შეუტყვია, რომ „შემუშავდა პროექტი, რომლის ძალითაც სასულიერო კანსისტორია უქმდება. მის მაგივრად არსდება ორი ეპარქიალური სამმართველო; ერთი მათგანი ადმინისტრატიული, შინაური საქმეების მომწესრიგებელი, მეორე კი სასამართლოს საქმეებისა. წევრები და მდივანი სამართველოისა იქნებიან დანიშნული სინოდისაგან, თავმჯდომარე კი-არქიელისაგან".

—

გადაიცვალა კიევის მიტროპოლიტი ფლავიანე, ყოფილი საქართველოს ექსარხოსი.

—

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მოსწავლეთა მშობელთა წრის კომიტეტს განუძრახავს შუამდგომლობა აღძრას სათანადო მთავრობის წინაშე ნება დართონ, რათა მოსამზადებელ და დაბალ კლასებში საღვთო სჯულის სწავლება ქართულ ენაზე სწარმოებდეს.

—

გამოცხადდა განათლების მინისტრის განკარგულება, რომლითაც კომერციულ სასწავლებლებში კურს დამთავრებულებს ნება ეძლევათ უნივერსიტეტში შესვლისა, თუ ლათინურ ენაში ეკზამენს ჩააბარებენ გიმნაზიის კლასის პროგრამით.

ნებადართულია სანასწავლებლო სემენარიელთათვის უმაღლეს დასაწყის სასწავლებლის მასწავლებლობაზე შემოკლებული პროგრამით ეკზამენის ჩაბარება.

ქართული პრესა სამღვდელოების ზნეობრივ პიროვნებაზე.

გაზ. „საქართველო"—ში ბ. სვ. ყ—ნი ქართულ სამღვდელოებაზე სწერს:

...ერთი სოფლის კაცი მეორე სოფლის კაცს რომ შეხვდება, პირველი კითხვაა მისი: როგორი მოსავალია თქვენში? მეორე კითხვა: როგორი მღვდელი გყავთ?

მომეტებულ შემთხვევაში ამ (უკანასკნელ?) კითხვაზე პასუხი რომ არ მოისმინოთ, სჯობიან.

მოგეხსენებათ, რომ ღვდლისა და დიაკვნის სასარგებლოდ გლეხი იხდის ეგრედ წოდებულ „დრამას". არ ვიცი, ეს სიტყვა საიდან წარმოსდგება, ჩემთვის კი რომ გეკითხნათ, ამ გარდასახადს „ტრაგედიას" დავარქმევდი, რადგან დრამა ძალიან სუსტი სახელია.

ტომრებითა და ჩანახით მიადგება შემოდგომაზე მღვდელი გლეხის ოჯახს. ჯერ ჩანახზე მოუვათ ჩხუბი,—ეს დიდია, ეს პატარაო. შემდეგ ჰირნახულის ღირსებაზე და შემდეგ დრამის მიტანაზე მღვდლის ბინაზე. ამ ჩხუბის დროს სულიერი მამა და შვილი ისეთი უშვერი პირით იხსენიებენ ერთმანეთს, რომ ყურებში თითს დაიცავთ. ეს ჩხუბი, ეს ერთმანეთის გინება ხანდახან მთელ წელიწადს გასტანს ხოლმე. მღვდელს თუ მთლად არ მისცეს, ჩუმდება და უცდის დროს, როდესაც გლეხს ან მოუკვდება ვინმე, ან მოსანათლი ეყოლება, ან დასაქორწილებელი. აქ ჩხუბი ლ აელ-მაყალი ახლდება მეტის სიმწარით. გლეხი დაიგინება, გაილანძღება, მაგრამ იძულებულია დამორჩილდეს, რადგან მეტი გზა არა აქვს, მკვდარს დამარხვა უნდა, ბავშს მონათვლა, ქალს გათხოვება.

მღვდელს რო ჰკითხო, გიპასუხებს: მაშ რა ვქნა, ჩემი და ჩემი ცოლ-შვილის ცხოვრების სახსარი ერთად ერთი ეგ დრამა არისო ლ მართალიც არის. სხვა შემოსავალი მას არა აქვს რა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თუ მღვდელმა დაიმსახურა ხალხში სიყვარული და პატივისცემა, გლეხი არ აკადრებს მას ცუდს სიტყვას, გადიხდის, რაც გადასახადი აქვს, შეიძლება უგულოდ, მაგრამ მაინც გადიხდის.

ხშირად გლეხი თავისი თვალით ჰხედავს მღვდლის სიხარბისა და სხვა გვარი საქციელის სურათებს, რომელიც დამცირებელია არამც თუ ღვთის მსახურის ღირსებისა, ადამიანისაც კი. სირცხვილია ამის თქმა, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა, სოფლად შეხვდებით ისეთ მღვდელს, რომელიც გლეხის ქორწილში, ან ქელეხში სუფრაზე მიტანილ ცხელ-ცხელ ხორცის ნაჭერს, ისე როგორც არას, ქურდულად ჯიბისკენ გაიპარებს და სახლში მიაქვს.

სამღვთოს გადახდისა და მკვდრის მოხსენების დროს ხომ აშკარად, ყველას თანდასწრებით, ავსებს ხურჯინს საუკეთესო ნაჭრებით და გლეხს უტოვებს ერთს მესამედს ხორაგისას.

მღვდლის ჯიბე, მღვდლის ხურჯინი, მღვდლის ჩანახი, რომ იტყვის გლეხი, უნდა წარმოიდგინოთ დიდი, ფართო, სამკვიდროდ გაკეთებული რამ ჩასაყრელი.

ხშირად ხედავს გლეხი მთვრალს, ღირსება აყრილს, ტინგიცად ქცეულს მღვდელს უბრალო დუქანში, გზაზე, სხვაგან.

ერთს სოფელში, ერთს მშვენიერ შობის დღეს ხალხს მოეყარა თავი სალოცავად ეკლესიის გალავანში და უცდიდა წირვას. მღვდელი სახლში არ იყო, ხ-ში იყო წასული და უნდა დაბრუნებულიყო. შუადღე გავიდა, მღვდელი არსადა სჩანდა. ბოლოს იმავე ხ—რიდან ამოვიდა ერთი გლეხი და ეკლესია რომ გამოიარა, იკითხა: რაზედ მოგიყრიათ თავიო. უთხრეს: შობა დღეა, წირვის მოსმენა გვინდა. მღვდელს ველითო. თქვენი მღვდელი ხ—ში ღორზე ზის და ბაზარში დააპენებსო!?! რას ამბობ?! როგორ?! რანაირად?!! თურმე, ნუ იტყვით, ეს დალოცვილი ადამიანი დამთვრალა დუქანში, გამოსულა ქუჩაში და დაუნახავს უზარმაზარი, ძალზე გასუქებული რუსული ღორი, რომელიც იქვე ნაგავს სჩიჩქნიდა და ტკბილად ღრუტუნებდა. მთვრალმა მღვდელმა არც აცივა, არც აცხელა, გადააჯდა ღორს და შემოუტია. ღორი გაქენდა ქუჩაში და, რადგანაც მღვდელს ფეხები უზანგოებში არ ჰქონდა გაყოფილი ლ ხელში არც აღვირი ეჭირა, თავი ველარ შეიკავა და შუაგულ ქუჩაში, ტალახში გაიშალა მოელი ბაზრის ხალხის სასაცილოდ...

აღშფოთებულმა ხალხმა ადგილობრივ თავადის დახმარებით დეპეშა გაუგზავნა ეგზარხოსს. საქმე გამოიძიეს და მღვდელი სხვაგან გადაიყვანეს.

მე ვიცნობდი ამ მღვდელს. დინჯი, დარბაისელი ადამიანი იყო. ზოგიერთ სხვა კარგს

ლირსებას არ იყო მოკლებული, მაგრამ უბედურება მისი ის იყო, რომ ღვინოს რო დალევდა, მთლად კარგავდა გონებას. მაგრამ საქმე ამაში არ არის. საქმე ისაა, რომ ჩვენი გლეხი არამც თუ მარტო მატერიალ გაჭირვებას განიცდის, მორალ საზრდოსაცაა მოკლებული. მისი კუბი ვერ ძღება. მისი თვალი კარგს ვერას ჰხედავს, გონება მისი, სული, გული ირყვნება, ხასიათი უფუჭდება, ზნეობრივ პრინციპების გაგებაც კი არა აქვს და ამით აიხსნება ის უკულტურობა, ის ცუდი მხარე გლეხის ზნეჩვეულებისა, რომელზედაც შემდეგ წერილებში მექნება ლაპარაკი.

ამ წერილში ბევრი მწარე სიმართლეა, რომლის მოწესრიგება მხოლოდ მაშინ დასრულდება, როცა მღვდელი ჩინონიკად გადიქცევა, როცა იგი ხაზინიდან მიიღებს თავის სასყიდელს, როცა მას არავითარი ნივთიერი დამოკიდებულება არ ექნება მრევლთან. რა სიკეთეს მოიტანს ასეთი მდგომარეობა, ამას მომავალი გამოაჩენს. დღეს კი შეუძლებელია ისეთ არა სასიამოვნო ინციდენტებს არ ექნეს ადგილი, რომლებზედაც ლაპარაკობს ბ. სვ. ყ—ნი. მღვდელი დღეს მრევლის მოჯამაგირეა, მას მრევლი აძლევს სასყიდელს და, რა თქმა უნდა, მღვდელიც როგორც, მოჯამაგირე, გაფრთხილებულია, რომ ჯამაგირი ნაღდად და საღი აიღოს მით უმეტეს, რომ ჩვენი ხალხი ძალიან მძიმეა მიკემაზე ბ ყველაფერი მუქთათ უნდა. ჩვენ დაახლოვებით არ ვართ გაცნობილი ქართლ—კახეთის სამღვდელოებასთან, რომელიც განსაკუთრებით სახეში ჰყავს ავტორს. რაც შეეხება იმერეთის და გურია სამეგრელოს სამღვდელოებას, მათ არც ჩანახი იციან და არც მისგან გამოწვეული ლანძღვა-გინება. განსვენებულმა შორს მკვრეტელმა გაბრიელ ეპისკოპოსმა ადრე იგრძნო მღვდლის შრომის ხორაგით დაკმაყოფილების მიზან შეუწყობლობა და დროზე შეეცადა ფულზე შეეცვალა იგი. ქართლ-კახეთში კი დარჩა ისევ ძველი ჩვეულება. მიუხედავად ამისა აქაც დიდი დრტვინვა გაისმის დრამა ფულზე, განსაკუთრებით განმათავისუფლებელ მოძრაობის შემდეგ. დღეს მღვდლის შემოსავალზე კამათი პრესაშიაც გადავიდა და აქაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს ხალხის დაბეგვრა მღვდლის სასარგებლოთ. გამოდის, რომ მღვდელი არაფერ სასყიდელს არ უნდა ღებულობდეს თავის შრომისათვის, რის თქმაც მხოლოდ საქართველოში შეიძლება. ვექილს, გინდა აქიმს რომ გლეხმა ყალბი ფული ან მცირე, სასყიდელი შეაძლიოს და მათ არ შიიღონ,— ეს არაფერი, ეს ასეც უნდა მომხდარიყო; ხოლო თუ მღვდელმა გლეხს დამპალი ხორბალი, ან პატარა ჩანახი დაუწუნა, ეს დიდი დანაშაულობაა. დიდი სასიკვდინე ცოდვაა, ცოდვაა, რომელიც ადამის ცოდვასავით თავზე ეხვევა მთელ წოდებას. ამით ჩვენ სრულებით სურვილი არა გვაქვს ვექილად დაუდგეთ ზოგიერთ თავის ეჩო მღვდელს და გავამართლოთ მისი მოქმედება. ჩვენ მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ასეთი ღვდლები არ შეადგენენ უმრავლესობას, არამედ სამწუხარო გამონაკლისს, ისიც დუხჭირ ცხოვრების პირობებით გამოწვეულს, როგორც არ შეადგენენ საზოგადო მოვლენას ღორებზე მოსეირნე და ნაჭერ ხორცების ქურდი მღვდლები. სადღაც ორი სამი მაგალითი მომხდარა, ნუ თუ იმაში დამნაშაევა მთელი წოდება?

არსად, არაფერ ხალხში სამღვდელოება ისე აბუჩად არ არის აგდებული, მისი ნივთიერი ინტერესები ისე არ არის დავიწყებული და უარ-ყოფილი, როგორც ჩვენ კურთხეულ საქართველოში და მის პრესაში. რაც თავი გვახსოვს ჩვენი პრესა მუდამ მღვდლის მიცემის წინააღმდეგია და ერთი სიტყვითაც არ წამოსთენია, მღვდელიც კაცია, ისიც შრომობს და საშრომელი ერგებაო. ასეთ პრესაზე აღზრდილი საზოგადოება, რათქმა უნდა, დამპალ ხორბალს და ერთი მუჭის ოდენა ჩანახს შესთავაზებს მღვდელს და თან სისტიკინებსაც ააყოლებს, რაც მღვდლის მხრითაც გამოიწვევს შესაფერ მოქცევას.

მიუხედავად ზემორე თქმულისა კარგად დაუკვირდეს თავს ის ვაებატონი ღვდლები, რომლებიც თავიანთი შეუფერებელი საქციელით ჩირქს ცხებენ მთელ წოდებას. ყოველი მათ მიერ მიღებული ზედმეტი ჭიქა ღვინო ცოდვათ ეწერება მთელ სამღვდელოებას, ყოველი ზედმეტი სიტყვა ჩირქსასცხებს სამღვდელოების ზნეობრივ პიროვნებას, ამიტომაც საჭიროა თვით სამღვდელოება თავის უმრავლესობით შესაფერ ზომებს ღებულობდეს შემარცხვენელ მოძმის გასასწორებლად და თუ არაფერი საშვალება გავა, პირდაპირ მოითხოვდეს ასეთი პირების წოდებიდან განკვეთას, მცნებისაებრ პავლე მოციქულისა, რომელი იტყვის: „მოსპეთ უკეთურნი შორის თქვენისა.

ხელი.

ᲔᲥᲡᲐᲠᲮᲝᲡ ᲞᲘᲢᲘᲠᲘᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡ ᲣᲛᲦᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲠ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ.

Закавказ. рѣч-ს მოჰყავს გაზეთ კოლოკოლში მოთავსებული ბ-ნ. ვ. სკვორცოვის შეკრებილი ცნობები მ. მ ყ. უ. საქართველოს ექსარხოსს პატირიმსა და უწ. სინოდს შორის მიწერ მოწერისა შესახებ მისი მეუფების მისვლისა პეტროგრადს.

მკითხველებმა იციან, სწერს „Зак. Р.“-ი, რომ თითქმის საქართველოს ექსარხოსის ყველა წარდგინებას შესახებ თავის საეპარქიოსა უარყოფით ეკიდებოდენ უწ. სინოდში და მსვლელობას არ აძლევდენ.

თავისთავად ცხადია, ექსარხოსი ისწრაფოდა პეტროგრადს წასვლას, რომ პირადათ წარედგინა სინოდის წევრთათვის დაწვრილებითი საბუთები აღძრულ საკითხების შესახებ. მიუხედავად ამისა სინოდი სისტემატიურად უარყოფდა მის მეუფების ექსარხოსის კანონიერ სურვილს, რაც ცხადათ სჩანს გაზეთ „კოლოკოლ“-ში გამომქვეყნებულ შემდეგ მიწერ-მოწერისაგან:

პეტროგრადი, უწ. სინოდის ობერპროკურორს საბლერს:

„გთხოვთ ნებართვას, მოვიდე პეტროგრადს საეკლესიოს აუცილებელ საქმეების გამო (ასეთივე თითქმის მიტროპ. ვლადიმერის სახელზე). საქართველოს ექსარხოსი პიტირიმი“.

თბილისი. საქართველოს ექსარხოსს პიტირიმს:

„უწ. სინოდს სურს გაიგოს მიზეზები თქვენის მობრძანებისა. საბლერი“.

თბილისი საქართველოს ექსარხოსს პიტირიმს:

„დღევანდელი დროის არა ჩვეულებრივ გარემოებათა გამო, გვაცნობეთ, რა მიუცილებელმა საქმეებმა გამოიწვია თქვენი ჩამობრძანება. პეტროგრადი. მიტროპ. ვლადიმერი“.

ტელეგრამა მეფის მოადგილისა. პეტროგრადი, უწ. სინოდის ობერპროკურორს საბლერს:

„საეკლესიოს მიუცილებელი საქმეები, რომელნიც ერთი მხრით დაკავშირებული არიან საომარ ამბებთან, მოითხოვენ ექსარხოსის გაწვევას პეტროგრადს პირადი მოხსენებისათვის სინოდში. გთხოვთ განკარგულებას“.

თბილისი, მეფის მოადგილეს გრაფ ვორონცოვ- დაშკოვს:

„უწმიდეს სინოდს, საომარ მდგომარეობის გამო, სცნობს რა არა სასურველად ექსარხოსის გამოსვლას თბილისიდან, ძალიან უპირს მისი გამოწვევა სანამ იგი წერილობით არ გამოარკვევს გარემოებას, რომელიც საჭიროდ ხდის მისს პეტროგრადში ჩამოსვლას“. პეტროგრადი, სტატს სეკრეტარი საბლერი...

მეორე თხოვნაზე ექსარხოსმა შემდეგი ტელეგრამა მიიღო:

თბილისი საქართველოს ექსარხოსს პიტირიმს:

„ძალიან ვწუხვარ, საომარ დროის მდგომარეობა ხელს უშლის თქვენს ჩამოსვლას. გთხოვთ მონდობით მომწეროთ“. საბლერი. თბილისი, საქართველოს ექსარხოსს პიტირიმს.

დღევანდელი არა ჩვეულებრივი საომარი მდგომარეობა ავალდებულებს თითეულს დარჩეს თავის ადგილზე, ამიტომ უწ. სინოდი უხერხულად ჰპოებს თქვენს მოსვლას პეტროგრადს. წარდგინება უწმიდესი სინოდისადმი ისეთ საქმეებზე. რომელიც გასამქლავნებელი არ არიან, შეგიძლიათ წერილობით. გამოგვიგზავნეთ რწმუნებითი წერილები მე და ობერ-პროკურორს. მიტროპ. ვლადიმერი“

ეს მიწერ-მოწერა, ბ. სკვორცოვის სიტყვით, მოხდა 31 მაისიდან 27 ივნისამდი ამ წ. და დასრულდა უშედეგოთ ექსარხოსისთვის, რომელმაც მისალოც ტელეგრამაში საომარინისადმი გამოსთქვა მწუხარება და საყვედური ივერიის ეკლესიის საჭიროებათადმი ცენტრალურ მართებლობის გულცივობასა და უმონაწილოებაზე.

ეს დოკუმენტი მოწმობს, თუ რამდენად უძლურია ჩვენი მღვდელმთავრობა თავის უფლებების დაცვის საქმეში. თუ თვით ექსარხოსი, დამყარებული თავის. უფლებაზე დაწელ გამაგრებული ძლიერი მოკავშირე საერო ქალაქო მთავრობით, უძლური გამოდგა და ვერ მოახერხა შუამდგომლობის განხორციელება, მაშინ რადას უნდა მოელოდენ ჩვეულებრივი ეპისკოპოზები, თუ რომ მათ იფიქრეს თავის უფლებებისათვის ბრძოლა?“

მხარე დარწმუნებულია, რომ მართებლობა მხარს დაუჭერს ექსარხოსს მის განზრახვებში, რომლებიც მიმართულია საქართველოს ეკლესიის სასიკეთოთ და ჩვენი საზოგადო სამშობლოს დიდი რუსეთის სასარგებლოდ, დასძენს გაზეთი „Зак. Рѣч“-ი.

რედაქტორი ს. მჭედლიძე.

გამომცემელი ი. ლეონავა.

ნებადართულია სამხედრო ცენზ. სტამბა „ძმობა“ ქარავასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.